ბრძანება:**ბ01.012127810**
თარიღი:**05/10/2021**
პინი:**5820**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

„ქ. თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტფის ქუჩა N15/წულუკიძის N20; თბოსადგურის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.088) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 მარტის N1-630 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და ქალაქ თბილისში, შანდორ პეტფის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.088) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01212671136-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტფის ქუჩა N15/წულუკიძის N20; თბოსადგურის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.088) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 მარტის N1-630 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.088) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.088) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადების წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ-2=5.1“

2. უარი ეთქვას ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.088) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო

ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემას.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01212671136-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01212775**
თარიღი: **04/10/2021**
პინი: **6207**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა/უარყოფა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01212671136-67
განცხადების თარიღი:	24/09/2021
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.17.10.005.088
მისამართი :	ქალაქი თბილისი , შანდორ პეტეფის N15 , წულუკიძის N20 , თბოსადგურის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 005/033) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 15 , (ნაკვ. 5/15)
მესაკუთრეები :	შპს "ურბან დეველოფმენთს",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ნანა კაპანაძე
პირადი ნომერი :	01008037746
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალი, კორპუსი 19, ბინა 54
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ირაკლი აზაურაშვილი
საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების რეკვიზიტები :	
აქტის ნომერი :	3024507; 3476744 ; 3683895
ტერიტორიის გამოყენების სახეობა და არსებული ან მინიჭებული პარამეტრები :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

კ - 1 :	0.5
კ - 2 :	5.3
კ - 3 :	0.2
მოთხოვნილი განაშენიანების კოეფიციენტი - კ - 1 და ინტენსივობის კოეფიციენტი - კ - 2 :	
კ - 1 :	0.5
კ - 2 :	5.2
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	შეიტანოთ ცვლილება ბრძანება 1-630 (20/03/2017 1-1955 5/09/2017) და გასცეთ სპეციალური ზონალური ნებართვა და კ2 კოეფიციენტი მიუთითოთ 5,2
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისის გარეუბანში, ვაზისუბნის და ვარკეთილის მიმდებარედ, შანდორ პეტეფის N15-ში. მიწის ფართი შეადგენს 2095 კვ.მ. 12/30/2016 წელს გაიცა მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები (#3024507; 3476744) მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად და შემდგომ ბრძანება № 3683895 (16/11/2017) შეტანილ იქნა ცვლილება და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; ბრძანება 1-630 (20/03/2017 1-1955 5/09/2017) თანახმად გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება განაშენიანების ინტესივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით და განესაზღვრა კ2 5,3. ვინაიდან მოხდა საპროექტო ტერიტორიისთვის (ს/კ 01.17.10.005.088)შეუსაბამო მიწის ნაკვეთის შეერთება(01.17.10.005.015) რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია და გასცა დადებითი ქალაქგეგმარებითი პოზიცია (16-01210681212 09/03/2021) საპროექტო შენობას მოემატა საპროექტო რესურსი , სამაგიეროდ დაიწია კ2 ინტენსივობის კოეფიციენტმა .აღნიშნულის გათვალისწინებით მოგმართავთ რომ შეიტანოთ ცვლილება ბრძანება 1-630 (20/03/2017 1-1955 5/09/2017) და გასცეთ სპეციალური ზონალური ნებართვა და კ2 კოეფიციენტი მიუთითოთ 5,2 ასევე გთხოვთ ფუნქციური გადანაწილება გაგვისაზღვროთ 25% საოფ,კომერც/75% საცხოვრებელი პროპორციით
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
	N01.17.10.005.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში. (სსზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "რ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) სამშენებლო განვითარებისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ-1=0,5*/0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ-2=3,5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ-3=0,2/0,3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი: 600/700*კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე: 15/20*მ. მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე: 25/30*მ. * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი

	ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის.
გადაწყვეტილების დასაბუთება :	წარმოდგენილი საკადასტრო ერთეული ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის მიხედვით მდებარეობს გეგმარებით კარკასსა (გკ) და პერიფერიულ ზონაში (პზ). ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დადგინდა, რომ N01.17.10.005.067 (ფართობი: 1841.0 კვ.მ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის N3024507 ბრძანებით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობები, მრავალფუნქციური კომპლექსისი განთავსების მიზნით. 2017 წლის 9 აგვისტოს № 3476744 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2016 წლის 30 დეკემბრის N3024507 ბრძანებაში (გაიზარდა მიწის ნაკვეთის ფართობი, შიცვალა კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი: 01.17.10.005.088; ფართობი: 1914.0 კვ.მ). ამავე წლის 16 ნოემბრის N3683895 ბრძანებით საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 მარტის N1-630 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქ. N15, წულუკიძის ქ. N20 თბოსადგურის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (N01.17.10.005.067) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ2=5,3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 სექტემბრის N1-1955 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2017 წლის 20 მარტის N1-630 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი/ ფართობი (საკადასტრო კოდი: 01.17.10.005.088; ფართობი: 1914.0 კვ.მ) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა: კ2=5,3. არსებული მდგომარეობით გაზრდილია მიწის ნაკვეთის ფართობი არაუმეტეს 10%-ით და შეცვლილია საკადასტრო მონაცემები (ს/კ01.17.10.005.088; ფართობი: 2095კვ.მ), ასევე შეცვლილია კონფიგურაცია. განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 მარტის N1-630 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გასაშუალებული მაჩვენებლის - კ2= 5.1 დაფიქსირების მიზნით, ამასთან საპროექტო შენობა ნაგებობის ფუნქციის ცვლილება შემდეგი პროცენტული გადანაწილებით: 75% საცხოვრებელი ფუნქცია; 25% საოფისე/კომერციული ფუნქცია.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, თუ მიწის ნაკვეთი, რომელზეც გადამეტებულია განაშენიანების რეგულირების პარამეტრები, გაერთიანდა სხვა მიწის ნაკვეთთან, გაერთიანებული ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების პარამეტრები ექვემდებარება გასაშუალოებას შემოერთებული მიწის ნაკვეთის 10%-ის სამშენებლო პოტენციალის გათვალისწინებით. ამავე ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-6 მუხლის თანახმად „სხვა მიწის ნაკვეთის“ ფართობის ის ნაწილი, რომელიც აღემატება წინა პუნქტით დადგენილ პროცენტულ ოდენობას, საპროექტო მიწის ნაკვეთს გაუერთიანდება ნულოვანი სამშენებლო პოტენციალით“. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი გაიზარდა 181 კვ.მ-ით, რაც არ აღემატება გაერთიანებამდე არსებული ფართობის 10%-ს, გასაშუალებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიმატებული მიწის ნაკვეთი სრულად (181 კვ.მ). აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაშუალების შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი მეათედების სიზუსტით დამრგვალების პირობებში შეადგენს 5.1-ს (1914*5,3=10144,2; 181*3.5=633,5; განაშენიანების ინტენსივონის ჯამური ფართი: 10144,2+633,5=10777,7; 10777,7/2095=5.1). რაც შეეხება, საპროექტო ობიექტზე ფუნქციური დანიშნულების ცვლილებას, სააგენტო განამარტავს, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით

	დამტკიცებულ წესებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის 85-74 დადგენილების პირველი მუხლით ცვლილება შევიდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) ის რეგლამენტში და განისაზღვრა, რომ განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა.“ ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დადგენილი რეგულირება გავრცელდეს ამ ცვლილების ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე, გარდა იმ ობიექტებისა, სადაც სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით გადამეტებულია განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 მარტის N1-630 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება გასაშუალების შედეგად მიღებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის მაჩვენებლის (5.1) დაფიქსირების მიზნით. ამავდროულად, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადამეტებულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების პარამეტრები სააგენტოს დასაშვებად არ მიაჩნია ფუნქციური განაწილების (75% საცხოვრებელი ფუნქცია; 25% საოფისე/კომერციული ფუნქცია) მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა.



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 18-01180783762

თარიღი: 19.03.2018

ადრესატი:
გოჩა მაჭარაძე
პირადი ნომერი: 01006010329
მისამართი: ბელიაშვილის 87

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 15 თებერვლის #19/0118046384-18 წერილი და გაცნობებთ, რომ:

ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის, მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად მოქმედი ნორმატიული აქტი, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილება და მისი პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ ეს წესი არ ვრცელდება „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მწვანე ნარგავების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე) ხოლო, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #190 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს „წითელი ნუსხის" თანახმად, კაკლის ხე განეკუთვნება „წითელ ნუსხას", მისი ბუნებრივი გარემოდან ამოღების საკითხი სცილდება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს.

რაც შეეხება 1 ძირი დაავადებული, ამორტიზირებული და ძარღვევადი კანადური ვერხვის მოჭრის საკითხს გაცნობებთ, რომ „ქ.თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის" შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კანონი") მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს (შემდგომში მოხსენიებული, როგორც დადგენილება #17-55) მე-3 თავის, 20-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, დაავადების გავრცელების, ასევე მისი შესაძლო წაქცევით საფრთხის შექმნისა და ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, სამსახური გასცემს თქვენს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ.#15/წულუკიძის ქ.#20 თბილისდვურის მიმდებარედ, ს.კ. #01.17.10.005.088) 1 ძირი კანადური ვერხვის (#3) ხის მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც, ზემოაღნიშნული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვისათვის საჭირო ნერგების შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამწლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება (დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოთ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

რაც შეეხება გადასარგავი ხე-მცენარეების საკითხს გაცნობებთ, რომ ექსპერტის მიერ შეფასებული მწვანე ნარგავებიდან 3 ძირი კანადური ვერხვი (#1,2,4) არის დიდტანოვანი ეგზემპლარი. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, მათი ბუნებრივი გარემოდან ამოღება/დარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას, ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ წარმოადგინოთ თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ პირისაგან (ფიზიკური/იურიდიული), რომელსაც გააჩნია შესაბამისი ტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მისაღებად საჭიროა მომზადდეს და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან შეთანხმდეს საშენებლო ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელშიც შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი და გადასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობა.

ასდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგაობის სახეობას (მათ ძირის დახასიათება - ხნოვანება, სიმაღლე) დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აირჩიოთ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას 2013 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გამეხებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გამეხებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობას.
- შეთანხმებულ გამწვანების პროექტს, რომელიც უნდა იყოს ვიზუალურად გაწოსახული მაგეტით ან/და ფოტომონტაჟით.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფას გვერდით განათავსოს წინასწარნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

დამატებით გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების ხარისხების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

გაცნობებთ, რომ დოკუმენტაციის წარმოსადგენად გეძლევათ 15 დღიანი ვადა.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგანელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-0117361464**

თარიღი: **27.12.2017**

აფრესატი:
შპს ურბან დეველოფმენთს
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405185204
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქ., N27, სართული 3, ბინა N3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა შეისწავლა, თქვენი 2017 წლის 11 ოქტომბრის #10/01172842824-18 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ- დ. კობახიძის 2017 წლის 31 ოქტომბრის საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, შანდორ პეტერფის ქ. #15/წულუკიძის N20 თბოსადგურის მიმდებარედ, საკ/კოდ 01.17.10.005.088) ხე-მცენარეების მოჭრა-გადარგვის ნებართვას

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სსსაბურო გასცემს 3 ძირი კანადური ვერხვის (#1,2,4) თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, შანდორ პეტერფის ქ. #15, წულუკიძის N20 თბოსადგურის მიმდებარედ საკ/კოდ 01.17.10.005.088) გადარგვის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამეშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს წედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

აქვე გაცნობებთ,რომ გადარგული მწვანე ნარგავების 1 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში დაგეგისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ წარმოდგენილი უნდა იქნას გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

რაც შეეხება 1 ძირი კანადური ვერხვის (#3) და 1 ძირი კაკლის ხის (#5) მოჭრის საკითხს გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილების ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ'' მე-3 თავის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, სამსახური გასცემს თქვენს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, შანდორ პეტერფის ქ. #15/წულუკიძის N20 თბოსადგურის მიმდებარედ საკ/კოდ 01.17.10.005.088) 1 ძირი დაავადებული, ამორტიზირებული და ქარქცევადი კანადური ვერხვის (#3) და 1 ძირი ზეზმელი კაკლის ხის (#5) მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული უნდა იქნას შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამწლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 2

(ოთხი) ძირი 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგის დარგვა. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, შანდორ პეტერფის ქ. #15/ წულუკიძის N20 თბოსადგურის მიმდებარედ საკ/კოდ 01.17.10.005.088), ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ძერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვა არ ჩაითვლება შესრულებულად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ წერილობით წარმოდგენილი უნდა იქნას დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიგა გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0117283860**

თარიღი: **10.10.2017**

ადრესატი:
შპს არკო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405038739
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მარშალ გელოვნის გამზ.#13 მე-7 სართ.

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფში” შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში რეგისტრირებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: (01.17.10.005.088) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა კოდით (01.00.082) არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე შ.პ.ს. “თბილსერვის ჯგუფი” წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

შპს "თბილსერვის ჯგუფი" - მოადგილე -
გარე განათების დარგში

ვეფხვია ბაძაღუა